გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

04 აპრილი 2024

N 2-412

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

,,ცაგერის მუნიციპალიტეტში, შპს „ჯონოული 2“-ის 12 კმ სიგრძის 110 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგისდასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 6 იანვრის №2-9 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის (№1445) მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 26 მარტის N21/3124 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ცაგერის მუნიციპალიტეტში, შპს „ჯონოული 2“-ის 12 კმ სიგრძის 110 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგისდასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 6 იანვრის №2-9 ბრძანება.
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს: სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს, სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს, სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს და შპს „ჯონოული 2“-ს.
3. ამ ბრძანების გამოცემიდან 2 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.
4. ეს ბრძანება ძალაშია შპს „ჯონოული 2“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი